ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13241214**

თარიღი:**30/04/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების გამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, მომართვის საფუძველზე, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, გადასცეს ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: სპეციალიზებული DONGFENG DFZ5125T SLE5 (გამოშვების წელი 2023, ფერი თეთრი, სარეგისტრაციო ნომერი QQ822QV, სატრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი L3LH145T 8PZ236033).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი